ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 381

ქალაქი ქუთაისი 23 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის **შოთა მურღულიას** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: 0(431)-24-54-54
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,
ინდ. მეწარმე ირაკლი კაცაძე
მისამართი: ბაღდათი, სოფ. როხი
პირადი ნომერი: № 09001000881
საბანკო რეკვიზიტი: ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE87 VT10 0000 0317 1545 06
(შემდგომში მიმწოდებელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. (წერილი №9385 – 01 16.08.2016წ.)

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1. მუსიკალური ჯგუფის „13" (ხელმძღვანელი ირაკლი კაცაძე) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი – **92300000**
1.3 გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდული **SMP160002256**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 1250 (ერთი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია 2016 წლის 26 სექტემბერს გამართოს კონცერტი ქუთაისში, ღია ცის ქვეშ. (ადგილი შემსყიდველთან შეთანხმებით).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------- ი. კაცაძე ----------

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 ,,შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტს მიიღებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
5.2 „შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
5.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.
6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია
8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

9.3 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 600 (ექვსასი) ლარს.
9.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების

ჭსანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
9.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
10.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 2ოქტომბრის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------- ი. კაცაძე ----------